საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11643/01
26/12/2018

11643-01-2-201812261747

შპს ,,ბათუმის საზღვაო ნავსადგურს"

ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2018 წლის 18 დეკემბრის №16453 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას - ნავსადგურის მე-7 ნავმისადგომის ტერიტორიაზე ნაყარი ტვირთების (გრანულირებული კარბამიდი) გადასატვირთი ტერმინალის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „სამი ნავმისადგომი (N7, N8 და N9) გამოყენებულია სხვადასხვა ნაყარი და გენერალური ტვირთების ოპერირებისათვის. ნაყარი ტვირთებიდან აღსანიშნავია: შაქარი, მარცვლეული, ქვანახშირი, კლინკერი, ცემენტი, სპილენძის კონცენტრატი, მანგანუმის მადანი, სილიკომანგანუმი, ბარიტი, კვარციტი, კარბამიდი, გრანულირებული გოგირდი, კაოლინის თიხა, პერლიტი და სხვა." ასევე აღნიშნულია, რომ ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობაზე გაცემული, მოქმედი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით ნავსადგურს გააჩნია გრანულირებული კარბამიდის გადატვირთვის უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან 2009 წლის 2 აგვისტოს №62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით არ არის გათვალისწინებული გრანულირებული გოგირდისა და კარბამიდის ოპერირება, აგრეთვე არაფერია ნათქვამი ამ ნივთიერებების ოპერირების შესახებ 2009 წელს წარმოდგენილ "ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში". შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში. ამასთან წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება ეხება გრანულირებული კარბამიდის გადასატვირთი ტერმინალის მოწყობას და ექსპლუატაციას და შესაბამისად გოგირდის ნაყარი ტვირთის ოპერირება არ განიხილება.

ასევე სკრინინგის განცხადების თანახმად, მე-7 ნავმისადგომის ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყლების შეკრების სისტემა და გამწმენდი ნაგებობა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მე-7 ნავმისადგომის სანიაღვრე კანალიზაციის სისტემას მშენებლობის პროცესში ჩაუტარდება მოდერნიზაცია, რომ შესაძლებელი იყოს ტერმინალის ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული წყლების მიღება. ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ტერმინალის ექსპლუატაციის ფაზაზე წყლის გარემოზე ზემოქმედების

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

რისკი შეფასებულია, როგორც მინიმალური. სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული როგორ იქნება უზრუნველყოფილი მე-7 ნავმისადგომის ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდა არსებულ გამწმენდ ნაგებობაში, ასევე სანიაღვრე კანალიზაციის სისტემის რა სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამნხორციელებაა გათვალისწინებული, მე-7 ნავმისადგომის ტერიტორიაზე მოსული სანიაღვრე წყლების გატარების მიზნით.

შესაბამისად სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მე-7 ნავმისადგომის ტერიტორიაზე წარმოქმნილი (საწარმოო და სანიაღვრე) ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური სქემა. გამწმენდი სისტემის ტიპი, ტექნიკური პარამეტრები, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობა. წყლის გაწმენდის ხარისხი და ჩაშვება. წარმოდგენილი უნდა იქნეს გამწმენდი ნაგებობის სქემატური ნახაზი, გარდა ამისა გენგეგმაზე დატანილი და მითითებული უნდა იქნეს სანიაღვრე კანალიზაციის ქსელი და გამწმენდი ნაგებობა.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გრანულირებული კარბამიდის გადასატვირთი ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები და მშენებლობის ეტაპზე შესაძლო ზემოქმედების სახეები.

ასევე სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მე-7 ნავმსადგომზე ნაყარი ტვირთების მიღება/გადატვირთვის დეტალური ტექნოლოგიური სქემა. ამასთან სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია, გრანულირებული კარბამიდის შენახვის პირობებისა და დატენიანების თავიდან ასაცილებელი შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მე-3 გვერდზე (ცხრილში 1.1.) საქმიანობის სახედ მითითებულია „110 კვ ეგხ-ეს 2 საყრდენი ანძის გადატანა", რაც არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებას. პროექტის მე-4 გვერდზე მითითებულია, რომ საპროექტო ტერმინალიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 65 მეტრს, ხოლო განცხადების 23-ე გვერდზე (ცხრილში 3.1) მითითებულია, რომ N12 ნავმისადგომიდან უახლოეს საცხოვრებელ ზონამდე მანძილი - 65 მ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში არაუგვიანეს ერთი თვისა, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე